

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სამედიცინო - სოციალური დახმარების მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ

2015 წლის ანგარიში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტია აფხაზეთის მოსახლეობის (როგორც იძულებით გადაადგილებული პირების, ასევე, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა) სამედიცინო უზრუნველყოფის ხელშეწყობა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, დაავადებათა გართულებების და მოკვდაობის მაჩვენებლის შემცირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს პროფილური პროგრამების შემუშავება ხდებოდა არსებული რეალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით და წინა წლების სამედიცინო-სტატისტიკური მასალების შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე; მხედველობაში მიიღებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო (ცენტრალური) პროგრამები, რაც გამორიცხავდა ჩვენი პროგრამებით ცენტრალური პროგრამების დუბლირებას და, შესაბამისად, ფინანსური სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას.

თითოეულ პროგრამაზე სამინისტროს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტების ფარგლებში სამინისტროში მოქმედებდა შემდეგი პროგრამები:

1. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ამბულატორიული დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა აღნიშნული დახმარების ცალკეული სახეების ღირებულებების დაფინანსებას. კერძოდ:

1.1 ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების კომპონენტი -საანგარიშო პერიოდში პროგრამის ბიუჯეტი სულ შეადგენდა 51445 ლარს და დაფინანსდა 219 ბენეფიციარი.

პროგრამა განხორციელდა სამ ეტაპად. პირველი ტენდერის საფუძველზე გამარჯვებული გახდა ქ.თბილისში შპს `ავერსის კლინიკა`. ბიუჯეტი განისაზღვრა 40000 ლარით. სულ დაკმაყოფილდა 163 ბენეფიციარი. გაიცა მიმართვები 40000 ლარის ღირებულების მომსახურებაზე.

სექტემბრის თვეში გამოცხადდა მეორე გამარტივებული ტენდერი, სადაც გამარჯვებული გახდა შპს აკად. ნ.ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 43 ბენეფიციარი. ანაზღაურებული თანხა შეადგენს 8695 ლარს.

დეკემბრის თვეში კი გამოცხადდა მესამე გამარტივებული ტენდერი, სადაც გამარჯვებული გახდა კვლავ ქ.თბილისში შპს `ავერსის კლინიკა`. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 13 ბენეფიციარი. ანაზღაურებული თანხა შეადგენს 2750 ლარს.

1.2 კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტი - სამინისტროს მიერ გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევების კომპონენტების მომსახურების შესყიდვაზე პირველ ეტაპზე გაიმარჯვა შპს, „ავერსის კლინიკამ“, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, ბიუჯეტი შეადგენდა 9500ლარს (50 ეპიზოდი. ერთეულის ფასი 190ლარი. N2/14 17.02.2015), მეორე ტენდერის ფარგლებში ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ამერიკული ჰოსპიტალი თბილისში“ თანხით 3575 ლარი, (20 ეპიზოდი. ერთეულის ფასი 178,75 ლარი. ხელშეკრულება N9/3 18.09. 2015წ) მესამე ეტაპზე კი გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კლინიკა იყო შპს „იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა“ რომლის ბიუჯეტიც შეადგენდა 810 ლარს (5 ეპიზოდი. ერთეულის ფასი 162ლარი. N12/9 15.12.2015).

საანგარიში პერიოდში ჩატარდა შესაბამისი კომისიის სხდომები, სადაც სულ განხილულ იყო 83 განცხადება, აქედან დადებითად გადაწყდა 71 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების საკითხი (75 ეპიზოდი), უარი ეთქვა 12 ბენეფიციარს. ანაზღაურებული თანხა შეადგენს 13885 ლარს.

1.3 თვალის ლაზერული ქირურგიული მომსახურების კომპონენტი აღნიშნული კომპონენტისათვის, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიმართული იყო 15 000 ლარი (ხელშეკრულება (N 3/12 13.03.15) და რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონში 2015 წლის 27 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე 22 500 ლარი (ხელშეკრულება (N 12/10 15.12.15). პროგრამის კომპონენტი განხორციელდა ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ კლინიკა შ.პ.ს „ახალ მზერაში“.

სამინისტროში შემოსული იყო, აღნიშნულ პროგრამაში მონაწილე მსურველთა სულ 16 განცხადება. კუმისიური წესით 14 განცხადება განხილულ იქნა დადებითი შედეგით. 2

მოქალაქეს ეთქვა უარი, თანხის ამოწურვის გამო. ჩატარდა 14 ოპერაცია (25 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 37 500.

1.4 „**ორთოპედიული (სტომატოლოგიური პროთეზირება) მომსახურების კომპონენტის**“ ბიუჯეტი განისაზღვრა 10000 ლარით. ტენდერის გამარჯვებული გახდა სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“ (7200 ლარი). დაფინანსდა **23 ბენეფიციარი** (40 ეპიზოდი). ანაზღაურებული თანხა შეადგენს 7200 ლარს.

ოქტომბრის თვეში გამოცხადდა მეორე გამარტივებული ტენდერი, პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4800 ლარით, გამარჯვებული გახდა კვლავ სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“. ხელშეკრულება გაფორმდა 4560 ლარზე (ეკონომია - 240ლარი) მომსახურება გაეწია 14 ბენეფიციარს. ანაზღაურებული თანხა შეადგენს 4560 ლარს.

ამრიგად, ორივე ტენდერის ჯამში პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 12360 ლარით და დაფინანსდა 37 ბენეფიციარი.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებში სამინისტროში ანალოგიური პროგრამა არ მოქმედებდა.

2. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სარეაბილიტაციო მკურნალობის პროგრამის

სულ პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 30000 ლარით.

2015 წელს გამოცხადდა სამი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, პირველ შემთხვევაში გამარჯვებული გახდა ს.ს „ვერე- XXI“, ხოლო მეორე შემთხვევაში - შპს „ავერსის კლინიკა“. ხოლო მესამე ტენდერში კვლავ ს.ს „ვერე- XXI“, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 128 ბენეფიციარი. ანაზღაურებული თანხა შეადგენს 29916 ლარს. (ეკონომია 84 ლარი). აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართული იყვნენ გალის ზავშვთა რეაბილიტაციის ცენტრის რამდენიმე ბენეფიციარი.

3. **„აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა“** ითვალისწინებდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურებას, პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ეი-ბი-სი“ სთან.

ხოლო 2015 წლის საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა **387** ბენეფიციარი, ანაზღაურებული თანხა შეადგენს **35000** ლარს.

4. „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ჰოსპიტალური დახმარების პროგრამის ფარგლებში კორონარული ანგიოგრაფიის მომსახურების პროგრამა“ გულისხმობს ბენეფიციარებისთვის იმ დახმარების გაწევას, რაც, ძირითადად, დარჩენილია ცენტრალური (სახელმწიფო) ჯანდაცვითი პროგრამების მომსახურების ჩამონათვალის მიღმა (მათ შორის, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებისა).

პროგრამის საერთო ბიუჯეტი განისაზღვრა 14716 ლარით. პროგრამის რეალიზაციისათვის განხორციელდა ორი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ორივე შემთხვევაში გამარჯვებულად გამოცხადდა და ხელშეკრულება გაფორმდა შპს „იონე მოწყალეს სახ.პრივატ კლინიკა“სთან.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა **23 ბენეფიციარი**,

აღსანიშნავი, რომ წინა წლებში სამინისტროს ანალოგიური პროგრამა არ მოქმედებდა.

5. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 7 გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების აქცია ქ.თბილისში და რეგიონებში: კერძოდ:

2015 წლის 12-14 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის რაიონის საზღვრისპირა სოფლებში (ხურჩა, რუხი - 13 ივნისს, ზედა ეწერი - 14 ივნისს) ჩატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო გასინჯვები.

13-14 ივნისს ზუგდიდის რაიონის სოფლებში ხურჩა, რუხი, ზედა ეწერი სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ თბილისის კლინიკების - შ.პ.ს. „მ.შარაშიძის სამედიცინო ცენტრის“, „აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“, თვალის კლინიკა შ.პ.ს. „ახალი მზერის“ - წამყვანი სპეციალისტები, აგრეთვე დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები. ხურჩაში ღონისძიება განხორციელდა სოფლის საბავშვო ბაღის შენობაში, რუხში - სოფელ რუხის საჯარო სკოლის შენობაში, ხოლო ზედა ეწერში - აფხაზეთის N15 საჯარო სკოლის შენობაში.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მიღებული იყო 190-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 650-მდე ვიზიტი ექიმთან, სოფელ რუხში მომსახურებული იყო 155-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 630-მდე ვიზიტი ექიმთან, ხოლო სოფელ ზედა ეწერში

სამედიცინო გასინჯვები ჩაიტარა 150-მდე ბენეფიციარმა, დაფიქსირდა 520-მდე ვიზიტი. სულ გასინჯა **500-მდე** ბენეფიციარი, განხორციელდა **1800-მდე ვიზიტის** მომსახურება. გასინჯულთა შორის იყვნენ როგორც ზუგდიდში და ზუგდიდის რაიონში (რუხი, ზედა ეწერი) მცხოვრები, ასევე ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული (გალი, ჭუბურხინჯი, თავილონი, ქვემო და ზემო ბარლები, პირველი გალი, სიდა, ნაბაკევი, ოტობაია, ღუმურიში, ჩხორთოლი) და საზღვრისპირა სოფლებში (ხურჩა, კოკი, ორსანტია) მცხოვრები დევნილები, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობა.

2015 წლის 25 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში ჩაატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო გასინჯვები მცხეთა-მთიანეთის მხარეში (ქ.მცხეთა, სოფლები ბაზალეთი, საგურამო, წეროვანი, მუხრანი) ჩასახლებული დევნილებისათვის,

სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ, მემორანდუმის ფარგლებში, თბილისის წამყვანი კლინიკების - „აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“, „დიაბეტის, ენდოკრინული და გულ-ფილტვის დაავადების ცენტრის“, თვალის კლინიკა შ.პ.ს. „ახალი მზერის“, ს.ს. „ვერე XXI“-ს - ექიმი-სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები.

ღონისძიების მსვლელობის დროს მიღებული იყო **120-მდე** ბენეფიციარი, განხორციელდა **400-მდე ვიზიტი** ექიმთან, მათ შორის სოფელ მუხრანში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში ადგილზე მომსახურებული იყო 14 ბენეფიციარი, რომელთაც არ შეეძლოთ მცხეთაში ჩასვლა. დუშეთის გამგეობის მიერ ორგანიზებული იყო ბაზალეთიდან მცხეთაში დევნილთა ტრანსპორტირება. აქციის დროს გასინჯულთა შორის იყვნენ როგორც მცხეთა-მთიანეთის მხარეში მცხოვრები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, აგრეთვე, დევნილები სამაჩაბლოდან.

2015 წლის 12 სექტემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში თბილისის ზღვაზე მდებარე დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში „ოქროს საწმისში“ ჩაატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო გასინჯვები, რომლის მიზანი იყო ადგილზე მრავალპროფილიანი მაღალკვალიფიციური სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვების გზით ავადობის აქტიური გამოვლენა, პაციენტებზე ჩვენების მიხედვით სათანადო მედიკამენტების გაცემა და იგპ-თა ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ღონისძიების მსვლელობის დროს მიღებული იყო **200-მდე** ბენეფიციარი, განხორციელდა **650-მდე ვიზიტი** ექიმთან.

პაციენტებს ჩაუტარდათ ლაბორატორიული გამოკვლევები, ულტრასონოსკოპია (მუცლის ღრუს ორგანოების, ფარისებრი ჯირკვლის) და ელექტროკარდიოგრაფია.ექიმების

მიერ დანიშნული მკურნალობის შესაბამისად აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეცათ მედიკამენტები.

2015 წლის 26 სექტემბერს ჩატარდა „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო გასინჯვების აქცია თბილისის ზღვაზე მდებარე დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში. კერძოდ სასტუმრო „თბილისის ზღვაში“. სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ „აკად.ო.ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ და იგპ-თადაწესებულებების კვალიფიციური ექიმები.

2015 წლის 16-18 ოქტომბერს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში ქ. მარტვილში სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ, მემორანდუმის ფარგლებში, თბილისის კლინიკების - „აკად. ო.ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“, თვალის კლინიკა შ.პ.ს.„ახალი მზერის“, „დიაბეტის, ენდოკრინული და გულ-ფილტვის დაავადების ცენტრის“ - წამყვანი სპეციალისტები, აგრეთვე დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები.

ქ. მარტვილში მიღებული იყო 250-მდე დევნილი ბენეფიციარი და 65-ზე მეტი ადგილობრივი მოსახლეობა, განხორციელდა 1000-მდე ვიზიტი ექიმთან. ღონისძიებაზე გაიცა 74 დასახელების 5662.35 ლარის ღირებულების მედიკამენტი.

2015 წლის 11-12 დეკემბერს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში სამეგრელოს რეგიონში, კერძოდ, აბაშის რაიონში (ქალაქი აბაშა) სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ, მემორანდუმის ფარგლებში, თბილისის კლინიკების - „აკად. ო.ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“, თვალის კლინიკა შ.პ.ს. „ახალი მზერის“, კლინიკა „ჰერა-2011“-ის წამყვანი სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები.

აბაშის რაიონში მიღებული იყო 150-მდე ბენეფიციარი (მათ შორის იყვნენ როგორც აფხაზეთიდან დევნილები, ასევე, ადგილობრივი მცხოვრებლები), განხორციელდა 500-მდე ვიზიტი ექიმთან.

2015 წლის 28 დეკემბერს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში თეთრიწყაროს რაიონში (სოფელი ალექსეევკა) სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ, მემორანდუმის ფარგლებში, თბილისის კლინიკების - „აკად. ო.ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“, „შ.პ.ს. ავერსის კლინიკის“ წამყვანი სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები.

მიღებული იყო 80-მდე ბენეფიციარი (მათ შორის იყვნენ როგორც თეთრიწყაროს რაიონში (სოფლები ალექსეევკა, ნავთიანი, მენკალისი, პატარა ირაგა, დიდი ირაგა,

ჯიგრაშენი, ივანოვკა) მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობა), განხორციელდა 300-მდე ვიზიტი ექიმთან.

2015 წელს გასვლით ღონისძიებებში სულ გასინჯულია 1600-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 5200-მდე ვიზიტი ექიმთან 2014 წელს სულ გასინჯულია 5630 ბენეფიციარი, განხორციელდა 18389 ვიზიტი:

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფა განხორციელდა გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ შპს `ეი-ბი-სი` ფარმაციასგან მიღებული მედიკამენტებით. ააქციების ფარგლებში დარიგდა სამინისტროსთვის გადმოცემული სხვადასხვა ჰუმანიტარული ტვირთი.

გასვლითი ღონისძიებების ფარგლებში სულ გაცემულია 27 075.122 ლარის მედიკამენტი :

ამრიგად, 2015 წლის მონაცემებით სამინისტროში მოქმედი პროგრამებით დახმარება გაეწია 869 დევნილს, ხოლო გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის ფარგლებში გაისინჯა 1600მდე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი.

სხვა ღონისძიებები ;

დღევანდელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სამინისტრომ **2015 წლის 28 მარტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა „მ.შარაშიძის კლინიკასთან“**

მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარე წლის 28 მარტს, კლინიკის ბაზაზე მრავალპროფილური ფართო სპექტრის სადიაგნოსტიკო-საკონსულტაციო დახმარება გაეწია **30** დევნილ მოქალაქეს **150-ზე მეტი ვიზიტი**). მსგავსი ღონისძიება ჩატარდა ასევე 25 აპრილს და 30 მაისს. სამედიცინო-დიაგნოსტიკური გასინჯვები მოიცავდა ექიმთა კონსულტაციებს (ოჯახის ექიმი, ქირურგი, ენდოკრინოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, გინეკოლოგი, უროლოგი) და ლაბორატორიულ – ინსტრუმენტულ კვლევებს (სისხლის საერთო ანალიზი; შაქრის განსაზღვრა სისხლში; კოაგულოგრამა, TSH; FT4; ელექტროკარდიოგრამა; რენდგენოლოგიური კვლევა; მუცლის ღრუს, ფარისებრი ჯირკვლის ექოსკანირება). სულ მომსახურებულ იქნა 150-მდე ბენეფიციარი. განხორციელდა **900-მდე** ვიზიტი.

აღსანიშნავია, ანალოგიური აქცია ტარდება ყოველი თვის ბოლო შაბათს. ამ მემორანდუმის ფარგლებში მიმდინარე წელს 4 აქციაზე კლინიკის მიერ დევნილი მოქალაქეებისთვის გაწეულია 48000 ლარის ღირებულების სადიაგნოსტიკო-საკონსულტაციო დახმარება.

სამინისტრო აქტიურად ჩაერთო საქველმოქმედო აქციაში, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებულ მოძრაობა „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ ფარგლებში ჩატარდა, და მოკრძალებული წვლილი შეიტანა საადგილობრო ნობათების შექმნის პროცესის ორგანიზებაში. შემოსული პროდუქტები დაურიგდათ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებსა და ინვალიდებს, აფხაზეთის ომის I ჯგუფის ინვალიდებს, შშმ არასწრულწლოვანებსა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა დედებს.

2015 წლის 2 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ კლინიკა“ენმედიც“-თან ერთად, მემორანდუმის ფარგლებში, ჩაატარა 18 წლამდე ასაკის აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების გამოკვლევები, უპირატესად ენდოკრინოლოგიური პროფილით. ენდოკრინოლოგის მიერ , მათ ჩაუტარდათ ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია და TSH-ის განსაზღვრა სისხლში. საჭიროების შემთხვევაში, ბავშვებს უტარდებოდათ ნევროლოგის, პედიატრის, ოკულისტის, ოტორინოლარინგოლოგის კონსულტაციები. აღსანიშნავია, რომ აქციაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულმა ბენეფიციარმა.

2015 წლის 30 მაისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალ კლინიკასთან ერთად, ჩაატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ბავშვთა სამედიცინო-დიაგნოსტიკური გასინჯვები, რომელიც მოიცავდა ექიმთა კონსულტაციებს (პედიატრი, ქირურგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, ნეფროლოგი, ოტოლარინგოლოგი, ოფტალმოლოგი, ორთოპედ-ტრავმატოლოგი, ენდოკრინოლოგი) და ინსტრუმენტულ კვლევებს (რენტგენოლოგიური კვლევა; ელექტროკარდიოგრამა; მუცლის ღრუს, გულის ექოსკოპია). მომსახურებულ იქნა 80 ბენეფიციარი. აქციის ფარგლებში გამოვლენილ იქნა სხვადასხვა პათოლოგიები, დაენიშნათ მკურნალობა ან დამატებით გამოკვლევებისთვის გაგზავნილ იქნენ სპეციალიზირებულ კლინიკებში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აქტიურად არის ჩართული დონაციის პროგრამაში „გაიღე სისხლი, გადარჩინე სიცოცხლე“. სამინისტროს თანამშრომლებმა უსასყიდლოდ გაიღეს სისხლი ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში სამედიცინო დახმარება გაეწია ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ/გადმოყვანილ 158 მოქალაქეს (მათ შორის, 112-ს - პროფსამედიცინო გასინჯვების აქციების პროცესში).

დევნილი, აგრეთვე, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ზრდადი სამედიცინო აქტივობა ნათლად მიუთითებს სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროექტების აქტუალობაზე და ეფექტურობაზე.

სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ეთნიკურად აფხაზი მოქალაქეებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის ორგანიზაციულ საკითხებში აქტიური მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე დინამიკაში საგრძნობლად მატულობს ასეთი მოქალაქეების რაოდენობა, რაც, უწინარეს ყოვლისა, ქართული მედიცინის მაღალეფექტურობაზე, აფხაზი მოქალაქეების მხრიდან ნდობის სერიოზულ აღდგენაზე მიუთითებს.

საინტერესოა, რომ მარტო 2015 წლის საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დახმარებისთვის მომართა **311-მა** ეთნიკურად აფხაზმა.

პაციენტის სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე გადმოყვანის პროცედურებიდან დაწყებული, დამთავრებული სპეციალიზებულ კლინიკებში მათი სამედიცინო მომსახურებით, სამინისტრო აქტიურადაა ჩართული ყველა რგოლში. ამ მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის აპარატთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, კლინიკებთან დამყარებულია მჭიდრო კავშირთაობები, რაც აფხაზ პაციენტთა დროული სამედიცინო უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტის რეალური საწინდარია. სამინისტროს ხელმძღვანელები და თანამშრომლები რეგულარულად აკითხავენ პაციენტებს სამედიცინო დაწესებულებებში, ინტერესდებიან მათი მდგომარეობით და ცდილობენ ოპერატიული რეაგირება მოახდინონ ცალკეული პრობლემების დარეგულირების მხრივ.

აღსანიშნავია, რომ სამინისტრო აქტიურ როლს ასრულებს აფხაზ პაციენტთა მხარდაჭერის მხრივ. კერძოდ, ცნობილია და ამას არაერთი შემთხვევა ადასტურებს, რომ ავადმყოფთა თანმხლებ პირებს არცთუ იშვიათად თბილისში ნაცნობ-მეგობრები და ნათესავები არ ჰყავთ, რაც მათ დროებითი საცხოვრებლის პრობლემას უქმნის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დავალებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მიმდინარე წლის მეორე კვარტლის მიწურულს დაიწყო აქტუალური პრობლემის - პაციენტთა თანმხლები პირების დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროექტის რეალიზება. კერძოდ, კალოუზნის ქ.#16-ში მდებარე სამედიცინო კორპუსში 66

კვადრატული მეტრი ფართობის სარემონტო სამუშაოები დაჩქარებული ტემპებით წარიმართა. აღნიშნული პროექტის რეალიზების შემდეგ, სამინისტროს განკარგულებაში იქნება 2 საცხოვრებელი ოთახი, სამზარეულო-სასადილო და სველი წერტილი. ეს ბლოკი იზოლირებულია კორპუსში განთავსებული დაწესებულებებისგან.

აღნიშნული შესაძლებლობას მოგვცემს, აუცილებლობის მიხედვით, ნორმალურ საცხოვრებელ პირობებში განვათავსოთ პაციენტების თანმხლები პირები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები და კონკრეტული აქტივობები განხორციელდება 2015 წლის სამუშაო გეგმის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დავალებების, აგრეთვე, კონკრეტული სიტუაციების გათვალისწინებით.